ჩემპიონატი

“მეტალურგის” დამარცხება

ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე 12 ნოემბერს **“მეტალურგი” და თბილისის “დინამოს”** შეხვედრა ხასიათდებოდა იშვიათი ტემპით, ლამაზი კომბინაციური თამაშით და კრიტიკული მომენტებით. გაგუას და მ. ბერძენიშვილის ნახევარდაცვაში გადასვლამ საგრძნობლად შესცვალა დინამოელთა თამაში. გარდა იმისა, რომ ისინი ენერგიულად იცავდნენ თავიანთ კარს, ამავე დროს კარგი თავდამსხმელებიც იყვნენ.

პირველი ტაიმის ბოლომდე მწვავე ბრძოლამ უშედეგოდ ჩაიარა. 43-ე წუთზე გავაშელის მიერ კორნერიდან მოწოდებული ბურთის მოგერიებას ვერ ახერხებს “მეტალურგის” მეკარე და ხარბედიას გააქვს პირველი ბურთი. 1:0 – თბილისელთა სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. მე-20 წუთზე “დინამოს” თავდამსხმელთა ხუთეულის მწყობრი იერიში დაგვირგვინდა ბერეჟნოის მოხდენილი დარტყმით. ანგარიშია 2:0. ტემპიანი თამაში ოდნავადაც არ შენელებულა. ერთი წუთის შემდეგ მოსკოველებს გააქვთ საპასუხო ბურთი, ხოლო ტაიმის 26-ე წუთზე ბერძენიშვილი ზრდის ანგარიშს.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით – 3:1.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 14 ნოემბერი, 1939 წ.